საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბრძანება №6

ბათუმი

„14" თებერვალი 2023 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესისა" და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის ე2-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის 2023 წლის 13 თებერვლის N198 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის შემდეგი ვაკანტური თანამდებობა - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ერთი საშტატო ერთეული).

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში პროფესიული საჯარო მოხელის - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობაზე (ერთი საშტატო ერთეული) გამოცხადდეს შიდა კონკურსი.

3. დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ვაჟა ცეცხლაძეს უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიამ (ვ. ცეცხლაძე) უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატში იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე შიდა კონკურსის ჩატარება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით აღარეგვიანეს 2023 წლის 15 მარტისა.

5. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს, აპარატის უფროსის მოადგილეს, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს და უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ვაჟა ცეცხლაძეს. ბრძანების გაცნობა უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ კანონით დადგენილი წესით.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე